დანართი №6



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლევან მადათოვი
წევრ(ებ)ი:
ლელა წურწუმია

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**
☒ **არაგეგმური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	235894458

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მესტიის მუნიციპალიტეტი, დაბა მესტია
ფაქტობრივი მისამართი	დ.აღმაშენებლის ქ №25
საფოსტო ინდექსი	3200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	mestia2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	591810018

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	№ 1037636 11.08.2026
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	დოკუმენტაციის შემოწმება

IV. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 11 აგვისტოს №1037636 ბრძანების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა - **ლევან მადათოვი** (თავმჯდომარე), **ლელა წურწუმია** (წევრი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, განახორციელა სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლის დოკუმენტაციის შესწავლა (არაგეგმური მონიტორინგი).

ექპერტა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაეცნო ვებ-გვერდზე განთავსებულ 2024-2030 წლების სტრატეგიულ გეგმას, ასევე გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №1651098 სხდომის ოქმს და შეიმუშავა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი .

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტაცია:

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ფორმა;
- 2025 2026 სასწავლო წლის შესრულების ანგარიშის ანალიზი.

დაწესებულებიდან გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია:

- 2024-2030 წლების სტრატეგიული გეგმა და მისი დამტკიცების შესამისი დოკუმენტი;
- 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმა და დამტკიცების შესამისი დოკუმენტი;
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების დოკუმენტი;
- 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

III. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

IV. რჩევები

სტანდარტი.1 სკოლის ფილოსოფია		რჩევა
1.2.1	სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა	1.2.1.4 აღსანიშნავია რომ რესურსების ნაწილში მითითებულია ადამიანური ან/და ფინანსური რესურსი, ამ შემთხვევაში რეკომენდირებულია მიეთითოს კონკრეტული წყარო, ადამიანური რესურსში სკოლის რესურსი მოიაზრება თუ მოწვეული რესურსი, იგივე ეხება ფინანსურ რესურსს, მიზანშეწონილია მიეთითოს სკოლის ბიუჯეტია თუ სხვა მოზიდული სახსრებია, ასევე მიზანშეწონილია მიეთითოს ბიუჯეტი თანხობრივად (სავარაუდო ბიუჯეტი).
1.2.2	სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა	1.2.2.2 სასურველია სამოქმედო გეგმის ანგარიში და ანალიზი იყოს დათარიღებული და ხელმოწერილი პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ, ამასთან ანალიზში ასახეული იყოს არა მხოლოდ სასწავლო პროცესი და კათედების მუშაობა, არამედ ინსტიტუციურ დონეზე და მოიცავდეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების დეტალურ ანალიზს, შესაბამისი ამოცანების მიხედვით.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი

1.2.1.1 სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს **შესრულებულია** (იხ. ინდიკატორის აღწერა)

1.2.1.2 სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს **შესრულებულია** (იხ. ინდიკატორის აღწერა)

1.2.1.3 სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და ყოველწლიურ თვითშეფასებას **შესრულებულია** (იხ. ინდიკატორის აღწერა)

1.2.1.4 სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. **შესრულებულია** (იხ. ინდიკატორის აღწერა)

1.2.2.1 სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავდეს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.
შესრულებულია (იხ. ინდიკატორის აღწერა)

ნაწილი III. სტანდარტის აღწერა და შეფასება

1. სკოლის ფილოსოფია

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2.1.1 სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლის მიერ წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას შესაბამისი პრიორიტეტების მიხედვით, აღსანიშნავია, რომ სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავდა განახლებული 2025-2031 წლის სტრატეგიული გეგმა, წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები ოქმების სახით.

1.2.1.2 სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა განახლებული შვიდწლიანი 2025-2031 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, მასში განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- პროფესიული განათლების განვითარება;
- ადამიანური რესურსების განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;

- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა;
- ორგანიზაციული განვითარება

1.2.1.3 სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის მიერ წარმოდგენილია 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, ასევე, 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, განხილული სასკოლო საზოგადოების მიერ, შეთანხმებული სკოლის დირექტორთან და დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, წარმოდგენილია შესაბამისი განხილვის და დამტკიცების ოქმები

1.2.1.4 სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში, ასევე 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმის პროექტში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, შესრულების პერიოდი **(აღსანიშნავია რომ შესრულების პერიოდი გაწერილია სასწავლო წელზე და არა კალენდარულ წელზე)** შესრულების ინტიკატორები/მტკიცებულებები და რესურსები. აღსანიშნავია, რომ რესურსების ნაწილში მითითებულია ადამიანური ან/და ფინანსური რესურსი, ამ შემთხვევაში **რეკომენდირებულია** მიეთითოს კონკრეტული წყარო, ადამიანური რესურსში სკოლის რესურსი მოიაზრება თუ მოწვეული რესურსი, იგივე ეხება ფინანსურ რესურსს, მიზანშეწონილია მიეთითოს სკოლის ძირითადი ბიუჯეტია თუ სხვა წყაროა, მაგ. დონორის დაფინანსება და ა.შ, ასევე მიზანშეწონილია მიეთითოს ბიუჯეტი თანხობრივად (სავარაუდო ბიუჯეტი).

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- 2025-2031 წლის სტრატეგიული გეგმა;
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2.2.1 სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ მექანიზმებს, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ეფექტიანი მართვისა და განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. დოკუმენტური ანალიზის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი რეგულარულად – წელიწადში ორჯერ (სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს) ხორციელდება. დირექციისა და პასუხისმგებელი პირების მიერ ინდიკატორების სისტემატური დაკვირვება და მიღებული შედეგების ანალიზი უზრუნველყოფს პროცესების პერიოდულ გადახედვასა და საჭიროებისამებრ გეგმების კორექტირებას.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი, რაც ზრდის გადაწყვეტილებების ობიექტურობასა და ჩართულობას. მონიტორინგისა და შეფასების პროცესს წარმართავენ როგორც სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი, ისე სკოლის დირექცია, რაც განაპირობებს პასუხისმგებლობების გადანაწილებასა და შიდა კომუნიკაციის ეფექტიანობას. პროცესში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის აქტიური ჩართულობა მიუთითებს თანამონაწილეობითი მართვის პრინციპების დაცვაზე.

1.2.2.2 მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სკოლა წლის განმავლობაში პერიოდულად ახორციელებდა სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რომლის შედეგებიც განიხილება პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების სხდომებზე. აღნიშნული საქმიანობის დასადასტურებლად წარმოდგენილია შესაბამის დოკუმენტებში, რაც ამყარებს მონიტორინგის პროცესის სისტემურობას. შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს საქმიანობის სისტემურობასა და გამჭვირვალობას, აგრეთვე ხელს უწყობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების ეფექტიანობის ზრდას.

რჩევა: სასურველია სამოქმედო გეგმის ანგარიში და ანალიზი იყოს დათარიღებული და ხელმოწერილი პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ, ამასთან ანალიზში ასახეული იყოს არა მხოლოდ სასწავლო პროცესი და კათედების მუშაობა, არამედ ინსტიტუციურ დონეზე და მოიცავდეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების დეტალურ ანალიზს, შესაბამისი ამოცანების მიხედვით.

1.2.2.3 სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ წლიური სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულია https://skolebi.emis.ge პორტალზე, ხოლო, შესრულების ანგარიში სკოლის მიერ წარმოდგენილია მტკიცებულების სახით .

1.2.2.4 სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნული პროცესი სკოლაში ხორციელდება ყოველწლიურად და ეფუძნება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განხილულ მასალებს. კერძოდ, კათედრების თავმჯდომარეებისა და სკოლის დირექციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე ხორციელდება სკოლის საქმიანობის შედეგების კომპლექსური ანალიზი. აღნიშნული პროცესი მოიცავს როგორც მიღწეული შედეგების შეფასებას, ასევე არსებული გამოწვევებისა და გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირებას. მიღებული დასკვნები და ანალიზის შედეგები გამოიყენება მომდევნო პერიოდის დაგეგმვისას, რაც ხელს უწყობს სკოლის განვითარების პროცესის უწყვეტობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2024-2025 წ სამოქმედო გეგმა;
- 2025-2031წ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N4;
- სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- 2025-2026 სასწავლო წლის მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში;
- 2025-26 სასწავლო წლის სემესტრის ანგარიში.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

06.10. 2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლევან მადათოვი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ლელა წურწუმია

